



№ 007836/31

18/09/2019

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის  
პრეზიდიუმის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სააქციო საზოგადოების „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საჩივრის  
დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი (შემდგომ - პრეზიდიუმი) შემდეგი  
შემადგენლობით:

1. ერეკლე მექვაბიშვილი - გენერალური აუდიტორი, სხდომის თავმჯდომარე;
2. ნოდარ ჯავახიშვილი - გენერალური აუდიტორის მოადგილე;
3. ეკატერინე ლაზაძე - გენერალური აუდიტორის მოადგილე;
4. სოფიო დვალიშვილი - თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
5. ზაზა შეყილაძე - სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
6. ნოე ქაშიბაძე - აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
7. გიორგი კაპანაძე - ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
8. გიორგი მამრიკიშვილი - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
9. კახაბერ კირტავა - აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
10. გიორგი გაჩეჩილაძე - ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი;
11. ცოტნე ქარქაშაძე - სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის უფროსი;
12. ალექსანდრე გოგოლაშვილი - აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
13. ნატო ზაალიშვილი - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
14. ზაზა გელაშვილი - შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
15. ვაჟა ბრაგვაძე - ადმინისტრაციის უფროსი.

**საჩივრის ავტორი:** სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“  
(შემდგომ - ელექტროსისტემა).

**წარმომადგენლები:** მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე, უჩა უჩანეიშვილი;  
მმართველთა საბჭოს წევრი, მამუკა სხილაძე (მინდობილობა - 01/19-430-348; 17.09.2019);  
იურიდიულ საკითხთა და სემეკთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, დავით  
გოლოშვილი (მინდობილობა - 01/19-430-348; 17.09.2019);  
იურიდიულ საკითხთა და სემეკთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამართლებრივი  
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ლევან ქევხიშვილი (მინდობილობა - 01/19-430-348;  
17.09.2019);

იურიდიულ საკითხთა და სემეკთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი იურისტი, თორნიკე ფუტკარაძე (მინდობილობა - 01/19-430-348; 17.09.2019);

მთავარი ბუღალტერი, ნინო მაისურაძე (მინდობილობა - 01/19-430-348; 17.09.2019);

ადამიანური რესურსების მართვის და ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, მიხეილ ზიბზიბაძე (მინდობილობა - 01/19-430-348; 17.09.2019);

შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი, მურთაზ სიჭინავა (მინდობილობა - 01/19-430-348; 17.09.2019);

შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ლაშა შენგელია (მინდობილობა - 01/19-430-348; 17.09.2019);

პროექტების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ირაკლი ჯინორია (მინდობილობა - 01/19-430-348; 17.09.2019);

შპს „ენერგოტრანსის“ დირექტორის მოადგილე ტექნიკურ დარგში, ჯემალ ახალაია (მინდობილობა - 01/19-430-348; 17.09.2019);

საერთაშორისო პროექტებისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი, მარიამ შალამბერიძე (მინდობილობა - 01/19-431-349; 17.09.2019).

**მოწინააღმდეგე მხარე:** ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი.

**წარმომადგენლები:** ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, თორნიკე შერმადინი; უფროსი აუდიტორი, ალექსანდრე მღებრიშვილი; წამყვანი აუდიტორი, ქართლოს სახვაძე; წამყვანი აუდიტორი, მაკა ჭიხორია; აუდიტორი, გიორგი დავითაშვილი.

**დავის საგანი:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 12 აგვისტოს დამტკიცებული სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2014-2017 წლების შესაბამისობის აუდიტის N42/36 ანგარიშის ბათილად ცნობა.

## I

### აღწერილობითი ნაწილი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2019 წლის 3 სექტემბერს N3967/09 საჩივრით (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი N7429/29; 03.09.2019) მომართა ელექტროსისტემამ და აუდიტის ანგარიშის დაუსაბუთებლობის, უსაფუძვლობის, აგრეთვე უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტებთან - ISSAI 4000 და 4100 შეუსაბამობის მოტივით, მოითხოვა ქვემოთ მოყვანილი საკითხების ბათილად ცნობა, კერძოდ:

1. აუდიტის ანგარიშის 1.1 ქვეთავი „რეაბილიტაციის მმართველის პასუხისმგებლობების არასათანადოდ განსაზღვრა“ და რეკომენდაცია N1, ვინაიდან არ ეთანხმება ამ ქვეთავში მოცემულ შეფასებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ელექტროსისტემის ზედამხედველობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, რეაბილიტაციის მმართველთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მმართველის პასუხისმგებლობის საკითხების მკაფიოდ განსაზღვრის შესახებ.
2. აუდიტის ანგარიშის 1.2 ქვეთავი „რეაბილიტაციის მმართველის შრომის ანაზღაურების დაუსაბუთებელი ზრდა“ და რეკომენდაცია N1, ვინაიდან არ ეთანხმება ამ ქვეთავში მოცემულ შეფასებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ელექტროსისტემის ზედამხედველობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, რეაბილიტაციის მმართველთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მმართველის შრომის ანაზღაურების გონივრული კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ.
3. აუდიტის ანგარიშის 2.1 ქვეთავი „რეაბილიტაციის გეგმაში ვალდებულებების ასახვის ნაკლოვანებები“ და რეკომენდაცია N2, ვინაიდან არ ეთანხმება ამ ქვეთავში მოცემულ შეფასებას

ფულადი სახსრების სამართლებრივი საფუძვლით განკარგვის მიზნით, რეაბილიტაციის გეგმაში ასახული ვალდებულებების დაზუსტების და გეგმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის ინიცირების აუცილებლობის შესახებ.

**4.** აუდიტის ანგარიშის 2.2 ქვეთავი „რეაბილიტაციის გეგმაში ხარჯების დაუსაბუთებელი ზრდა“ და რეკომენდაცია N3, ვინაიდან არ ეთანხმება ამ ქვეთავში მოცემულ შეფასებას, რომლის თანახმად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, როგორც ერთადერთმა უზრუნველყოფილმა კრედიტორმა, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით უნდა გაანალიზოს ელექტროსისტემის მიერ მომზადებული რეაბილიტაციის გეგმის ცვლილების პროექტის დასაბუთებულობა და აუცილებლობა.

**5.** აუდიტის ანგარიშის 2.3 ქვეთავი „გეგმასთან შეუსაბამოდ გაწეული ხარჯები და ფინანსთა სამინისტროს მიერ არასათანადო კონტროლი“ და რეკომენდაცია N4, ვინაიდან არ ეთანხმება ამ ქვეთავში მოცემულ შეფასებას, რომლის თანახმად ელექტროსისტემამ რეაბილიტაციის გეგმით დამტკიცებული ზღვრული მოცულობების ზემოთ ხარჯები უნდა გასწიოს მხოლოდ უზრუნველყოფილ კრედიტორთან დასაბუთებული წინასწარი შეთანხმებისა და შესაბამის მუხლებში გათვალისწინებული მოცულობების გაზრდის შემდგომ.

**6.** აუდიტის ანგარიშის 2.4 ქვეთავი „უზრუნველყოფილ კრედიტორთან შეუთანხმებელი არასათანადოდ კლასიფიცირებული ხარჯები“ და რეკომენდაცია N5, ვინაიდან არ ეთანხმება ამ ქვეთავში მოცემულ შეფასებას ელექტროსისტემის მიერ დაგეგმვის ეტაპზე ცნობილი დანახარჯების შესაბამის მუხლებად კლასიფიცირების და უზრუნველყოფილ კრედიტორთან ზღვრული მოცულობების შეთანხმების საჭიროების შესახებ.

**7.** აუდიტის ანგარიშის მე-3 თავი „კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას ელექტროსისტემის აქტივებში ვალდებულებების წილის ზრდის ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, სახელმწიფო მხრიდან დამატებითი სუბსიდირების გარეშე, რეაბილიტაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზნის - ელექტროსისტემის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების საექვოობის შესახებ.

**8.** აუდიტის ანგარიშის 4.1 ქვეთავი „გაუმჭვირვალე სახელფასო პოლიტიკა“ და რეკომენდაცია N6, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას, რომლის თანახმად, გამჭვირვალე და სამართლიანი შრომის ანაზღაურების პოლიტიკის უზრუნველყოფის მიზნით, ელექტროსისტემამ უნდა განსაზღვროს კომპანიის მიზნების და ამოცანების შესაბამისი პოზიციები და შეიმუშაოს თითოეულის შესაბამისი შრომის ანაზღაურების მოცულობის დადგენის ობიექტური და დასაბუთებული კრიტერიუმები.

**9.** აუდიტის ანგარიშის 4.2 ქვეთავი „სახელფასო და საპრემიო ფონდების ათვისება რეაბილიტაციის გეგმის შეუსაბამოდ“ და რეკომენდაცია N7, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას რეაბილიტაციის გეგმასთან შესაბამისობის, სახელფასო/საპრემიო ფონდების ეფექტიანად დაგეგმვისა და სამართლიანად განკარგვის მიზნით, კომპანიაში არსებული თანამდებობების ტექნიკურ და ადმინისტრაციულ კატეგორიებად კლასიფიცირებისა და შესაბამისი სახელფასო და საპრემიო ფონდების რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად ელექტროსისტემის მიერ განკარგვის შესახებ.

**10.** აუდიტის ანგარიშის 4.3 ქვეთავი „სახელფასო და საპრემიო ფონდების რეაბილიტაციის გეგმის შეუსაბამოდ ზრდა“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას რეაბილიტაციის გეგმით დადგენილი სახელფასო და საპრემიო ფონდების ყოველწლიური ზრდის მხოლოდ შემოსავალზე დამოკიდებულების და სხვა გონივრული კრიტერიუმების ელექტროსისტემის მიერ გაუთვალისწინებლობის შესახებ.

**11.** აუდიტის ანგარიშის 4.4 ქვეთავი „კომპანიის შინაგანაწესთან შეუსაბამოდ გაცემული პრემიები“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას შინაგანაწესით დამტკიცებულ პრემირების წესის შეუსაბამოდ გაცემული პრემიებისა და რეაბილიტაციის მმართველის მიერ დამტკიცებული პრემირების წესის (განსაკუთრებულ შემთხვევაში, რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილება განახორციელოს თანამშრომლის ინდივიდუალური პრემირება რეკომენდაციისა და პრემირების საფუძვლის გარეშე) ხარვეზის შესახებ.

**12.** აუდიტის ანგარიშის 4.5 ქვეთავი „აქციონერთან შეუთანხმებელი მენეჯმენტის პრემირების წესი“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას მენეჯმენტის პრემირების კანონმდებლობის მოთხოვნების დაუცველად განხორციელების შესახებ.

**13.** აუდიტის ანგარიშის 5.1 ქვეთავი „არამიზანშეწონილი სამივლინებო ხარჯები“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას კომპანიის ფინანსური შედეგების გათვალისწინებით, ფინანსთა მინისტრის მიერ დაწესებული სამივლინებო ნორმების ზემოთ ხარჯის და ელექტროსისტემის ბრძანებით, შესაბამისად, მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, მმართველთა საბჭოს წევრებისა და მათი თანმხლები პირებისთვის საზღვარგარეთ მივლინების დროს საცხოვრებელი ფართის ხარჯების ულიმიტოდ გაწევის არამიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

**14.** აუდიტის ანგარიშის 5.2 ქვეთავი „ტრანსპორტის და როუმინგული მომსახურების ხარჯების ნაკლოვანებები“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ თანამშრომლების მივლინებისას ტრანსპორტის დაქირავებისთვის, ასევე როუმინგული მომსახურებისთვის არაგონივრული ხარჯების გაწევის მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მივლინების მიზნებისთვის არ არსებობს მაღალი რანგის თანამდებობების პირებთან ელექტროსისტემის თანამშრომლების გამათანაბრებელი ნორმატიული რეგულაცია.

**15.** აუდიტის ანგარიშის 6.1 ქვეთავი „წარმომადგენლობითი ხარჯების დაუსაბუთებელი ზრდა“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას იმის შესახებ, რომ რეაბილიტაციის გეგმის ცვლილებაში არ არის დასაბუთებული წარმომადგენლობითი ხარჯების აუცილებლობა.

**16.** აუდიტის ანგარიშის 6.2 ქვეთავი „პირველადი დოკუმენტების გარეშე გაწეული ხარჯი“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას იმის თაობაზე, რომ ელექტროსისტემაში არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ხარჯების დამადასტურებელი სრული დოკუმენტაციის შეკრებას და სისტემატიზაციას. კონტროლის მექანიზმის არ არსებობა ზრდის ფულადი სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკს.

**17.** აუდიტის ანგარიშის 7.1 ქვეთავი „მოთხოვნების ჩამოწერასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას ელექტროსისტემის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე, ფინანსთა სამინისტროსთან შეუთანხმებლად 137869 ლარის უიმედო ვალად აღიარების შესახებ.

**18.** აუდიტის ანგარიშის 7.2 ქვეთავი „დებიტორული დავალიანებების დაფარვასთან დაკავშირებული ხარვეზები“ და რეკომენდაცია N8, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას დებიტორების („რაო როსისა“, შპს „ვარდნილჰესების კასკადი“, სს „საქართველოს რკინიგზა“, სს „ელიტა“) მიმართ სამართლებრივი ღონისძიებების გაუტარებლობის, ხოლო შპს „მეტეხი XXI“-ს (იგივე „ალიონ პლუსი“) მიმართ დაგვიანებულ ქმედებებთან დაკავშირებით, რის გამოც გაშვებულია მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადები.

**19.** აუდიტის ანგარიშის 7.3 ქვეთავი „არარეალური ვალდებულებების აღიარება“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას რეაბილიტაციის გეგმაში არსებული არარეალური ვალდებულებების გამო დებიტორული დავალიანების ურთიერთგაქვითვით შემცირების რისკის არსებობის შესახებ.

**20.** აუდიტის ანგარიშის 7.4 ქვეთავი „მოთხოვნებთან დაკავშირებული სხვა ნაკლოვანებები“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას, რომლის თანახმად, ელექტროსისტემამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია კრედიტორთა მოთხოვნების წარმოშობის პერიოდის შესახებ, რის გამოც ვერ ფასდება დებიტორის გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე ელექტროსისტემის მიერ დებიტორის მიმართ დროული სამართლებრივი ღონისძიებების და მოთხოვნის, თუნდაც ნაწილის დაკმაყოფილების შესაძლებლობის საკითხი.

**21.** აუდიტის ანგარიშის 8.1 ქვეთავი „ქონების გამოსყიდვის ხელშეკრულებების ხარვეზები“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ ფოტოდოკუმენტირება არ იძლევა შეფასებული ქონების იმ ღირებულებით აღქმის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რა ღირებულებითაც მოხდა მათი შეფასება, შესაბამისად, რწმუნება იმისა, რომ მოსახლეობისგან გამოსყიდული ქონების საკომპენსაციოდ გადახდილია სათანადო ფასები, არ არსებობს.

**22.** აუდიტის ანგარიშის 8.2 ქვეთავი „ნებართვის გარეშე დაწყებული სამშენებლო სამუშაოები“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას ელექტროსისტემის მიერ სამშენებლო სამუშაოების უნებართვოდ წარმოებასთან დაკავშირებით.

**23.** აუდიტის ანგარიშის 8.3 ქვეთავი „ელექტროსისტემისთვის დაკისრებული ჯარიმები, არასწორად შეფასებული რისკები“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას

ჯარიმების გადახდების საკითხის პარტნიორთან ან უზრუნველყოფილ კრედიტორთან წინასწარი შეთანხმების აუცილებლობის შესახებ.

**24.** აუდიტის ანგარიშის 9.1 ქვეთავი „უსაფუძვლოდ გამარჯვებული პრეტენდენტები“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას იმის შესახებ, რომ სატენდერო პირობების უგულვებელყოფით გამარჯვებულად გამოცხადებულმა კონტრაქტორებმა შესაძლოა ვერ დააკმაყოფილონ ელექტროსისტემის რეალური საჭიროებები და შესაბამისად, ფულადი სახსრები გაიხარჯოს არაეფექტიანად და არაეკონომიურად.

**25.** აუდიტის ანგარიშის 9.2 ქვეთავი „ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა“, ვინაიდან გაურკვეველია რა იგულისხმება აუდიტის ანგარიშში მოცემულ ჩანაწერში, რომლის თანახმად ელექტროსისტემასა და კონსულტანტებს (ჰაკან შიმშევი, იუსუფ გიუნაი) შორის დადებული ხელშეკრულების ცვლილებიდან 70 დღეში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით ხელშეკრულება ჩაითვალოს შესრულებულად, რის საფუძველზეც ელექტროსისტემამ გაქვითა 180000 აშშ დოლარის ავანსი და გადაიხადა დარჩენილი 20000 აშშ დოლარი. ასევე, არ ეთანხმება აღნიშნულ ქვეთავში მოცემულ შეფასებას იმის შესახებ, რომ ჰაკან შიმშევის მიერ ნაწილობრივ შესრულებულ მომსახურებასთან მიმართებით გადახდილი თანხის ადეკვატურობა არ დასტურდება, ასევე ნაწილობრივ შესრულებული მომსახურებისათვის ელექტროსისტემის მიერ კონტრაქტორისათვის ანაზღაურებული 75000 აშშ დოლარის გაანგარიშება ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეუძლებელია და შესაბამისად არ არის დასაბუთებული.

**26.** აუდიტის ანგარიშის 9.3 ქვეთავი „არასათანადოდ განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნები“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას იმის შესახებ, რომ ელექტროსისტემის მიერ შედგენილი შესასყიდი ობიექტის ბუნდოვან აღწერილობას პოტენციურ პრეტენდენტებში შესაძლოა გამოეწვიოს გაუგებრობა და გამხდარიყო შესყიდვაში მონაწილეობისგან თავის არიდების მიზეზი. ასევე, შესყიდვის ობიექტის არასათანადო აღწერა პრეტენდენტს საშუალებას აძლევდა ელექტროსისტემისთვის შეეთავაზებინა ის საქონელი და მომსახურება, რომლებიც შემსყიდველს არ ჰქონდა განსაზღვრული.

**27.** აუდიტის ანგარიშის 9.4 ქვეთავი „უზრუნველყოფის გარანტიის გარეშე გაფორმებული ხელშეკრულებები“, ვინაიდან არ ეთანხმება ამ თავში მოცემულ შეფასებას ხელშეკრულებების თანმდევნი დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად სათანადო კონტროლის მექანიზმების არ არსებობის შესახებ.

**28.** მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების - ISSAI 4000 და 4100 შეუსაბამოდ.

### **მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია:**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებებით (N007747/14) ელექტროსისტემის N3967/09 საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: N7429/29; 03.09.2019) არ უნდა დაკმაყოფილდეს.

## **II**

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საჩივრის გაცნობის, საქმეში არსებული მასალების შესწავლისა და შემოწმების, გამოცხადებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შეფასების, ამ გარემოებათა ურთიერთშეჯერების, საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გაანალიზებით, პრეზიდენტი მივიდა დასკვნამდე, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2019 წლის 3 სექტემბერს ელექტროსისტემის მიერ წარმოდგენილი N3967/09 საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N7429/29) არ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. აუდიტის ანგარიშის 1.1 ქვეთავი - „რეაბილიტაციის მმართველის პასუხისმგებლობების არასათანადოდ განსაზღვრა“ და რეკომენდაცია N1.

პრეზიდენტი იზიარებს აუდიტორულ შეფასებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელ ქმედებებზე, რომელიც დაკავშირებულია ელექტროსისტემის უფლებამოსილების განხორციელების ნაწილთან, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, წარმოადგენს ელექტროსისტემის ერთადერთ უზრუნველყოფილ კრედიტორს, რომლის გადაწყვეტილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც ელექტროსისტემის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე, ასევე მთლიანად რეაბილიტაციის პროცესზე. შესაბამისად, მოცემულ საკითხზე რეკომენდაცია გაცემულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. ამდენად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოთხოვნას 1.1 ქვეთავისა და N1 რეკომენდაციის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლოების გამო.

## **2. აუდიტის ანგარიშის 1.2 ქვეთავი - „რეაბილიტაციის მმართველის შრომის ანაზღაურების დაუსაბუთებელი ზრდა“ და რეკომენდაცია N1.**

პრეზიდენტი მიუთითებს, რომ მოცემულ ქვეთავში შეფასება კეთდება არა რეაბილიტაციის მმართველის შრომის ანაზღაურების მოცულობაზე, როგორც საჩივრის ავტორი აღნიშნავს, არამედ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების 10%-იანი ზრდის უპირობო ხასიათსა და იმ ფაქტზე, რომ მოცემული პირობა არ ემყარება გონივრულ და გაზომვად კრიტერიუმებს, რაც აუცილებელია გაწეული ხარჯის საბაზრო პირობებთან შესაბამისობის, სამართლიანი ანაზღაურების და შედეგზე ორიენტირებული მმართველობის უზრუნველსაყოფად. ამდენად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოთხოვნას 1.2 ქვეთავისა და N1 რეკომენდაციის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლოების გამო.

## **3. აუდიტის ანგარიშის 2.1 ქვეთავი - „რეაბილიტაციის გეგმაში ვალდებულებების ასახვის ნაკლოვანებები“ და რეკომენდაცია N2.**

მოცემულ ქვეთავთან დაკავშირებით პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორი სადავოდ არ ხდის აუდიტის ანგარიშში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებას იმასთან დაკავშირებით, რომ რეაბილიტაციის გეგმაში წარმოდგენილია ისეთი კრედიტორი კომპანიები, რომელთა ნაწილი ლიკვიდირებულია ან მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ იძებნება. ელექტროსისტემა მიუთითებს, რომ აღნიშნული ფაქტი მისი ქმედებით ან უმოქმედობით არ არის გამოწვეული. შესაბამისად, პრეზიდენტი იზიარებს აუდიტის ანგარიშში მოცემულ შეფასებას, რომ ელექტროსისტემამ უზრუნველყოს რეაბილიტაციის გეგმაში ასახული ვალდებულებების დაზუსტება და გეგმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის ინიცირება.

ამდენად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.1 ქვეთავისა და N2 რეკომენდაციის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლოების გამო.

## **4. აუდიტის ანგარიშის 2.2 ქვეთავი - „რეაბილიტაციის გეგმაში ხარჯების დაუსაბუთებელი ზრდა“ და რეკომენდაცია N3.**

პრეზიდენტი ეთანხმება აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ რიგ შემთხვევაში რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილების აუცილებლობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხრიდან სათანადოდ არ არის გაანალიზებული, ვინაიდან ხარჯების ზრდის აუცილებლობისა და მიზნობრიობის შესახებ ინფორმაცია ელექტროსისტემის მიერ ხშირ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი. ხოლო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებების განხორციელების ფორმატი შეთანხმებულია უზრუნველყოფილ კრედიტორთან (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) არ წარმოადგენს სადავო საკითხს. შესაბამისად, მოცემულ საკითხზე რეკომენდაცია გაცემულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

ამდენად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.2 ქვეთავისა და N3 რეკომენდაციის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლოების გამო.

## **5. აუდიტის ანგარიშის 2.3 ქვეთავი - „გეგმასთან შეუსაბამოდ გაწეული ხარჯები და ფინანსთა სამინისტროს მიერ არასათანადო კონტროლი“ და რეკომენდაცია N4.**

საჩივრის ავტორი ეთანხმება აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ კომპანიის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯვითი ოპერაციები არ ხორციელდება წინასწარ დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ელექტროსისტემის მიერ სათანადო საჭიროების დასაბუთების გარეშე, ხარჯების ზღვრული მოცულობების შეუზღუდავად



გადამეტება აზრს უკარგავს რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული ხარჯების კატეგორიზაციას, რის გარეშეც კონკრეტული მიზნობრიობით დაგეგმილი და უზრუნველყოფილ კრედიტორთან შეთანხმებული თანხები რეალურად ხმარდება განსხვავებული ეკონომიკური შინაარსის ხარჯვით ოპერაციებს. უზრუნველყოფილი კრედიტორის ინფორმირება უკვე განხორციელებული გადახარჯების შესახებ გეგმის ცვლილების პროცესში, განაპირობებს ამ ცვლილებებში უზრუნველყოფილი კრედიტორის მონაწილეობის ფორმალურ ხასიათს.

რაც შეეხება, საჩივრის ავტორის პრეტენზიას N4 რეკომენდაციის ადრესატად ელექტროსისტემის მითითებას, პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ რეკომენდაცია გაცემულია იმის გათვალისწინებით, რომ მომავალში გეგმით დამტკიცებული ზღვრული მოცულობების ზემოთ ხარჯების გაწევა განხორციელდეს მხოლოდ უზრუნველყოფილ კრედიტორთან დასაბუთებული წინასწარი შეთანხმებისა და შესაბამის მუხლებში გათვალისწინებული მოცულობების გაზრდის შემდგომ.

ამდენად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.3 ქვეთავისა და N4 რეკომენდაციის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლოების გამო.

## **6. აუდიტის ანგარიშის 2.4 ქვეთავი - „უზრუნველყოფილ კრედიტორთან შეუთანხმებელი არასათანადოდ კლასიფიცირებული ხარჯები“ და რეკომენდაცია N5.**

პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის როგორც წერილობით, ასევე ზეპირ მოსმენაზე გამოთქმულ მოსაზრებას „სხვა გაუთვალისწინებული ხარჯების“ განმარტებასა და დასაბუთებულობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს შემდეგს:

როგორც საჩივრის ავტორი განმარტავს, „სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების მუხლი“ მოიცავს იმ ხარჯების კატეგორიას, რომლებსაც რეაბილიტაციის გეგმით დამტკიცებული „მოგება-ზარალის“ უწყისის სხვა კატეგორიები არ მოიცავს (როგორცაა, „ხელფასები, პრემიები, მივლინება და ა.შ.) და არ განმარტავს, რატომ არ უნდა მოიცავდეს რეაბილიტაციის გეგმის სხვა კატეგორიები აღნიშნულ ხარჯებს. პრეზიდენტი განმარტავს, რომ რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად, გაუთვალისწინებელი ხარჯი წარმოადგენს ელექტროსისტემისათვის წინასწარ გაუთვალისწინებელ ხარჯებს. შესაბამისად, მისი წინასწარი „არცოდნა“ განსაზღვრავს მის გაუთვალისწინებელ ხასიათს, რის გამოც არ მოითხოვება მისი კონკრეტულ მუხლად კატეგორიზაცია და კრედიტორთან დასაბუთებული შეთანხმება, რაც ცალსახად განსხვავდება ელექტროსისტემის განმარტებისაგან - გაუთვალისწინებელია ის ხარჯი, რომელიც გეგმით არ აქვს ცალკე მუხლად კლასიფიცირებული, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია დაგეგმვის მომენტშივე და შეუძლია განსაზღვროს ცალკე და შეათანხმოს, როგორც შინაარსობრივად, ისე თანხობრივად. რაც შეეხება წინასწარ ცნობილი ხარჯების კლასიფიცირებას, აღნიშნულის ვალდებულება სწორედ ელექტროსისტემას გააჩნია, რადგან გეგმის შესაბამისად, წინასწარ ცნობილი დანახარჯები, მოცემული მუხლის განმარტებიდან გამომდინარე, „სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების“ მუხლიდან არ გაიწევა.

პრეზიდენტი იზიარებს „გაუთვალისწინებელი ხარჯის“ შესახებ აუდიტის ანგარიშში მოცემულ შეფასებას, რომ 2014-2017 წლებში ელექტროსისტემის მიერ „სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების“ მუხლიდან დაფინანსებულია ისეთი ყოველთვიური ხარჯები, რომლებიც ელექტროსისტემისთვის დაგეგმვის ეტაპზე იყო ცნობილი. რეაბილიტაციის გეგმა მოიცავს „სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების“ მუხლს, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს ისეთ დანახარჯებს, რომელთა გაწევის საჭიროება ელექტროსისტემისთვის დაგეგმვის ეტაპზე უცნობია და შესაბამისად, ვერ იქნება კლასიფიცირებული რეაბილიტაციის გეგმით. ელექტროსისტემის მიერ ხარჯების არასწორი კლასიფიკაციის გამო უზრუნველყოფილი კრედიტორი მოკლებული იყო ხარჯების მიზნობრიობის განხილვისა და შეფასების შესაძლებლობას, რაც კრედიტორთან შეუთანხმებელი ხარჯების გაწევის საშუალებას იძლეოდა.

ამდენად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.4 ქვეთავისა და N5 რეკომენდაციის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლოების გამო.

## **7. აუდიტის ანგარიშის მე-3 თავი - „კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება“.**

პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ელექტროსისტემის ფინანსური შედეგების (2014-2017 წლებში) გაუარესების შესახებ აუდიტის ანგარიშში გამოთქმული შეფასება მცდარია და ეთანხმება აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმად, ელექტროსისტემა ყოველწლიურად კრედიტორების წინაშე

არსებული დავალიანებების შემცირების ნაცვლად, მეტად იტვირთება ვალდებულებებით. შესაბამისად, ელექტროსისტემის აქტივებში ვალდებულებების წილის ზრდის ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი სუბსიდირების გარეშე, შეუძლებელი გახდება რეაბილიტაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზნის მიღწევა - ელექტროსისტემის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

აქვე, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ ობიექტურობისთვის და საკითხის დაბალანსებულად წარდგენის მიზნებისთვის, აუდიტის ანგარიშში მოცემულია საჩივრის ავტორის პოზიცია, იმის შესახებ, რომ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2017 წლის ბოლოს დადგენილი ელექტროსისტემის შემოსავლების გაანგარიშების გაზრდილი ტარიფების საფუძველზე, ელექტროსისტემა რეაბილიტაციის დარჩენილ პერიოდში - 2018-2023 წლებში გეგმავს საოპერაციო შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდას და წმინდა ფინანსური შედეგების არსებით გაუმჯობესებას. ასევე, ანგარიშში მითითებულია 2018 წლის დადებითი ფინანსური შედეგის შესახებ ინფორმაცია (KPMG-ის დასკვნის მიხედვით).

ამდენად, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ მომავალი პერიოდის საპროგნოზო შემოსავლები ვერ იქნება გათვალისწინებული 2014-2017 წლების ცვლილებების ანალიზთან დაკავშირებით, შესაბამისად, არ არსებობს მე-3 თავის ბათილად ცნობის საფუძველი.

## **8. აუდიტის ანგარიშის 4.1 ქვეთავი - „გაუმჭვირვალე სახელფასო პოლიტიკა“ და რეკომენდაცია N 6.**

პრეზიდენტი ეთანხმება აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ მოსაზრებას, იმის შესახებ, რომ იდენტური სამსახურებრივი ვალდებულებების და მოთხოვნების შემთხვევაში, ელექტროსისტემას არ გააჩნია წინასწარ განსაზღვრული, კომპეტენციების მიხედვით დიფერენცირებული შრომის ანაზღაურების სისტემა. იდენტურ პოზიციებზე დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებებს შორის სხვაობა ზოგიერთ შემთხვევაში 100%-ს აჭარბებს. აღსანიშნავია, რომ საჩივრის ავტორის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აუდიტის ანგარიშში ასახული შეფასების საპირისპირო არგუმენტაცია. ამდენად, გამჭვირვალე და სამართლიანი შრომის ანაზღაურების პოლიტიკის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ელექტროსისტემის მიერ შემუშავებულ იქნეს შრომის ანაზღაურების მოცულობის დადგენის ობიექტური და დასაბუთებული კრიტერიუმები.

ამდენად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოთხოვნას 4.1 ქვეთავისა და N6 რეკომენდაციის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლოების გამო.

## **9. აუდიტის ანგარიშის 4.2 ქვეთავი - „სახელფასო და საპრემიო ფონდების ათვისება რეაბილიტაციის გეგმის შეუსაბამოდ“ და რეკომენდაცია N7.**

პრეზიდენტი ეთანხმება აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ შეფასებას, რომ ელექტროსისტემას არ აქვს განსაზღვრული ტექნიკური და ადმინისტრაციული თანამდებობები, რაც რეაბილიტაციის გეგმასთან შეუსაბამობაშია. შესაბამისად, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ რეაბილიტაციის გეგმასთან შესაბამისობის, სახელფასო/საპრემიო ფონდების ეფექტიანად დაგეგმვის და სამართლიანად განკარგვის მიზნით, ელექტროსისტემამ უზრუნველყოს კომპანიაში არსებული თანამდებობების ტექნიკურ და ადმინისტრაციულ კატეგორიებად კლასიფიცირება და შესაბამისი სახელფასო და საპრემიო ფონდების რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად განკარგვა.

ამდენად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოთხოვნას 4.2 ქვეთავისა და N7 რეკომენდაციის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლოების გამო.

## **10. აუდიტის ანგარიშის 4.3 ქვეთავი - „სახელფასო და საპრემიო ფონდების რეაბილიტაციის გეგმის შეუსაბამოდ ზრდა“.**

პრეზიდენტი მოცემულ ქვეთავთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ რეაბილიტაციის გეგმა ითვალისწინებს ელექტროსისტემის სახელფასო ფონდის ყოველწლიურ ზრდას წინა წლის სახელფასო ფონდის მოცულობის 10%-ის ოდენობით, რაც უნდა განისაზღვრებოდეს კომპანიის შესატყვისი წლის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის პროპორციული ზრდით. წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ გასაჩივრებულ ქვეთავში აღწერილი პროცენტული გადახრები გაანგარიშებულია რეაბილიტაციის გეგმაზე თანდართული საპროგნოზო მოგება-ზარალის უწყისებიდან. შესაბამისად, საჩივრის ავტორის არგუმენტი იმასთან



დაკავშირებით, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ გამოთვლილი ხელფასის ფონდის ზრდა შესრულებულია კაპიტალურ პროექტებზე ანაზღაურებული ხელფასებისთვის პერიოდის ხარჯების კვალიფიკაციის მინიჭებით, საფუძველს მოკლებულია.

ამდენად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოთხოვნას 4.3 ქვეთავის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

#### **11. აუდიტის ანგარიშის 4.4 ქვეთავი - „კომპანიის შინაგანაწესთან შეუსაბამოდ გაცემული პრემიები“.**

პრეზიდენტი ეთანხმება აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ მოსაზრებას და წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით მიიჩნევს, ელექტროსისტემის მიერ უგულებელყოფილია პრემირების წესის პირობა, რომ ერთდროული პრემირება შესაძლებელია განხორციელდეს წინა წლის ბოლო 6 თვისა და მიმდინარე წლის პირველი 6 თვის ფინანსური შედეგების შესაბამისად (კომპანიის მოგების გათვალისწინებით).

ამდენად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოთხოვნას 4.4 ქვეთავის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

#### **12. აუდიტის ანგარიშის 4.5 ქვეთავი - „აქციონერთან შეუთანხმებელი მენეჯმენტის პრემირების წესი“.**

პრეზიდენტი ვერ დაეთანხმება საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ აუდიტის ანგარიშში ამ ქვეთავთან დაკავშირებით მითითებული ნორმატიული აქტის (საქართველოს მთავრობის N230 დადგენილება, 02.06.2011) მოთხოვნების შეუსრულებლობის ელექტროსისტემისათვის შეფარდება არარელევანტურია და აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილების (N230; 02.06.2011) მე-6 მუხლის თანახმად, სს „საპარტნიორო ფონდი“ აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილებას წარმოადგენს შვილობილი კომპანიების მენეჯმენტის ბონუსების ან/და საბონუსე სისტემის დამტკიცება. შესაბამისად, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ მენეჯმენტის საბონუსე სისტემის განსაზღვრა პარტნიორის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

ამდენად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოთხოვნას 4.4 ქვეთავის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

#### **13. აუდიტის ანგარიშის 5.1 ქვეთავი - „არამიზანშეწონილი სამივლინებო ხარჯები“.**

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დასაბუთება აუდიტის ანგარიშში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების, კერძოდ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დაწესებული სამივლინებო ნორმების ზემოთ ხარჯების გაწევის მიზანშეწონილების შესახებ.

ამდენად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოთხოვნას 5.1 ქვეთავის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

#### **14. აუდიტის ანგარიშის 5.2 ქვეთავი - „ტრანსპორტის და როუმინგული მომსახურების ხარჯების ნაკლოვანებები“.**

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დასაბუთება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას ტრანსპორტის დაქირავებისთვის, ასევე როუმინგული მომსახურებისთვის არაგონივრული ხარჯების გაწევის მიზანშეწონილების შესახებ.

ამდენად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოთხოვნას 5.2 ქვეთავის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

#### **15. აუდიტის ანგარიშის 6.1 ქვეთავი - „წარმომადგენლობითი ხარჯების დაუსაბუთებელი ზრდა“.**

საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ მსჯელობას რეაბილიტაციის გეგმაში შეტანილი ცვლილებით ხარჯების დაუსაბუთებელ ზრდასთან დაკავშირებით. აღნიშნულზე პრეზიდენტი მიუთითებს, რომ მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმი, რომელიც ითვალისწინებს რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილების შეტანას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი მიიჩნევს, რომ ცვლილების გარეშე შეუძლებელია გეგმის განხორციელება. შესაბამისად, რეაბილიტაციის გეგმაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც გულისხმობს წარმომადგენლობითი ხარჯების ზრდას, საჭიროებს რეაბილიტაციის გეგმის

პროექტის მომზადებისას ელექტროსისტემის მიერ ხარჯის გაწევის აუცილებლობის დასაბუთებას, ხოლო უზრუნველყოფილი კრედიტორის მიერ შეფასებას, რამდენად უკავშირდება ასეთი ხარჯების გაზრდა რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებას. პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას მოცემულ ქვეთავთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განმარტება ვერ იძლევა რწმუნებას იმის თაობაზე, რომ მის მიერ მოყვანილი მიზნები წარმოადგენს რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებისათვის აუცილებელ და გარდაუვალ საჭიროებას, როგორც რეაბილიტაციის გეგმაში ხარჯების ზრდის აუცილებლობის, ასევე დაზუსტებული გეგმური მონაცემების გადახარჯვის თვალსაზრისით. ამდენად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოთხოვნას 6.1 ქვეთავის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლოდ გამო.

#### **16. აუდიტის ანგარიშის 6.2 ქვეთავი - „პირველადი დოკუმენტების გარეშე გაწეული ხარჯი“.**

პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის არგუმენტებს ანგარიშვალდებულ პირებზე თანხების ჩამოწერის საკითხზე მომწოდებლების აღრიცხვის სამსახურების მომსახურების ფაქტობრივად გაწევის ადგილიდან დისტანციური მდებარეობის გამო პირველადი დოკუმენტის წარმოდგენის შეუძლებლობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, საქართველოს კანონმდებლობით პირველადი დოკუმენტი არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა იდენტიფიცირება, აქვს თარიღი და მოიცავს მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ჩამონათვალსა და ღირებულებას. შესაბამისად, სალარო აპარატის ჩეკი და რაიმე სახის შიდა დოკუმენტი, მათ შორის, მოხსენებითი ბარათი და პროტოკოლი, ვერ უზრუნველყოფს ხარჯის გაწევის დადასტურებას, რადგან მომსახურების გამწევი ვერ ადასტურებს სარესტორნე მომსახურების ელექტროსისტემისთვის რეალურად გაწევის ფაქტს.

ამდენად, პრეზიდენტს უსაფუძვლოდ მიაჩნია საჩივრის ავტორის მოთხოვნა 6.2 ქვეთავის ბათილად ცნობის შესახებ.

#### **17. აუდიტის ანგარიშის 7.1 ქვეთავი - „მოთხოვნების ჩამოწერასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები“.**

ამ ქვეთავში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება 5 (შპს „ენერგოინვესტი“, შპს „ატრიუმი“, შპს GEO M.L., შპს „ჯორჯიან ბილდინგი“, შპს „აქსი“) კომპანიის მიმართ არსებული მოთხოვნების უიმედო ვალად აღიარების შეუსაბამობას კანონმდებლობასთან, პრეზიდენტი იზიარებს აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ შეფასებას, რომ აღნიშნული კომპანიების მიმართ ელექტროსისტემის მოთხოვნის უიმედო ვალად აღიარება განხორციელდა, როგორც მოქმედი კანონმდებლობის, ასევე რეაბილიტაციის გეგმის შეუსაბამოდ. კერძოდ, უიმედო ვალად აღიარება განხორციელდა კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადების დაუცველად, რიგ შემთხვევებში კი სააღსრულებლო ღონისძიებების მიმდინარეობის პერიოდში. ამასთან, უიმედო ვალად აღიარება არ იყო შეთანხმებული უზრუნველყოფილ კრედიტორთან.

ამდენად, პრეზიდენტს უსაფუძვლოდ მიაჩნია საჩივრის ავტორის მოთხოვნა 7.1 ქვეთავის ბათილად ცნობის შესახებ.

#### **18. აუდიტის ანგარიშის 7.2 ქვეთავი - „დებიტორული დავალიანებების დაფარვასთან დაკავშირებული ხარვეზები“ და რეკომენდაცია N8.**

პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ დებიტორების მიმართ არსებული მოთხოვნათა უდიდეს ნაწილს ხანდაზმულობის ვადა გაუვიდათ არა შემოწმების პერიოდში (2014-2017), არამედ შემოწმების პერიოდამდე 10-15 წლით ადრე და აღნიშნავს, რომ საკითხის სრულყოფილად შესწავლისა და შეფასების მიზნით, მისი მნიშვნელობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეფასდეს აუდიტის პერიოდთან დაკავშირებული პერიოდები.

ამასთანავე, პრეზიდენტი იზიარებს აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ შეფასებას დებიტორული დავალიანებების მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების არასაკმარისად განხორციელების თაობაზე და აღნიშნავს, რომ სათანადო ღონისძიებების გაუტარებლობის შედეგად დებიტორული დავალიანებები გახდა ხანდაზმული, რამაც დებიტორებს მისცა შესაძლებლობა უარი ეთქვათ დავალიანებების ანაზღაურებაზე.

ამდენად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა 7.2 ქვეთავის და N8 რეკომენდაციის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლოა.

**19. აუდიტის ანგარიშის 7.3 ქვეთავი - „არარეალური ვალდებულებების აღიარება“.**

პრეზიდენტი იზიარებს აუდიტის ანგარიშში მოცემულ შეფასებას იმის თაობაზე, რომ ელექტროსისტემა სასამართლო წესით აღიარებული კანონიერი მოთხოვნის გაქვითვას გეგმავს კანონმდებლობის მოთხოვნების დაუცველად აღიარებულ იმ კრედიტორულ დავალიანებაში, რომლის რეალობას შპს „მცირე ენერჯოკომპანიის“ უფლებამოსილი წარმომადგენელიც არ ადასტურებს. საქმეში წარმოდგენილი აღსრულების ეროვნული ბიუროს წერილით დგინდება, რომ შპს „მცირე ენერჯოკომპანია“ ელექტროსისტემის მიმართ არ გააჩნია მოთხოვნები. ხოლო საჩივრის ავტორს აღნიშნული ფაქტის საწინააღმდეგო მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

ამდენად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა 7.3 ქვეთავის ბათილად ცნობის შესახებ, ვერ იქნება დაკმაყოფილებული.

**20. აუდიტის ანგარიშის 7.4 ქვეთავი - „მოთხოვნებთან დაკავშირებული სხვა ნაკლოვანებები“.**

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ მოცემულ ქვეთავში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით ელექტროსისტემის მიერ აუდიტის მიმდინარეობისას სათანადო ინფორმაციისა და განმარტებების წარმოუდგენლობის გამო, ვერ შეფასდა შესაძლებელი იყო თუ არა რიგი დებიტორების შემთხვევაში დროული სამართლებრივი ღონისძიებების გატარება და მოთხოვნების თუნდაც ნაწილობრივ დაკმაყოფილება ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინებით, ხოლო სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუციის“ შემთხვევაში - ელექტროსისტემის მოთხოვნების შემცირების კანონიერების საკითხი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძველს მოკლებულია საჩივრის ავტორის მოთხოვნა 7.4 ქვეთავის ბათილად ცნობის შესახებ და ვერ იქნება დაკმაყოფილებული.

**21. აუდიტის ანგარიშის 8.1 ქვეთავი - „ქონების გამოსყიდვის ხელშეკრულებების ხარვეზები“.**

ამ ქვეთავში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ელექტროსისტემის მიერ საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას გამოსასყიდი ქონების ღირებულების დადგენის საკითხს, პრეზიდენტი იზიარებს აუდიტის ჯგუფის შეფასებას, რომ ქონების გამოსყიდვის პროცედურის გამჭვირვალობის მიზნით შედგენილი დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს დეტალურ ინფორმაციას შესასყიდი ობიექტის შესახებ. როგორც აუდიტის მასალებიდან დგინდება, ცალკეულ შემთხვევაში ფოტოები არ იძლევა სათანადო რწმუნებას შეფასებული ქონების შესაბამისი რაოდენობით არსებობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება მოსახლეობისგან გამოსყიდული ქონების საკომპენსაციოდ გადახდილი სათანადო ფასების შესახებ. საჩივრის ავტორს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე უარყოფელი ინფორმაცია არ წარმოუდგენია.

ამდენად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა 8.1 ქვეთავის ბათილად ცნობის შესახებ, ვერ იქნება დაკმაყოფილებული.

**22. აუდიტის ანგარიშის 8.2 ქვეთავი - „ნებართვის გარეშე დაწყებული სამშენებლო სამუშაოები“.**

პრეზიდენტი იზიარებს აუდიტის ანგარიშში მოცემულ შეფასებას იმის თაობაზე, რომ ელექტროსისტემა საინვესტიციო პროექტების ფარგლებში განხორციელებულ სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებდა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, შესაბამისი ნებართვების გარეშე. მოცემულ საკითხზე საჩივრის ავტორი არ უარყოფს აუდიტის ანგარიშში ასახულ ფაქტებს და მხოლოდ მისი ქმედებების გამამართლებელ არგუმენტებზე მიუთითებს.

ამდენად, აშკარაა კანონდარღვევის ფაქტები და შესაბამისად, არ არსებობს საჩივრის ავტორის მოთხოვნის - 8.2 ქვეთავის ბათილად ცნობის საფუძველი.

**23. აუდიტის ანგარიშის 8.3 ქვეთავი - „ელექტროსისტემისთვის დაკისრებული ჯარიმები, არასწორად შეფასებული რისკები“.**

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორი არასწორად მიუთითებს აუდიტის ანგარიშში მოცემულ შეფასებას, კერძოდ, აუდიტის ანგარიში არ შეიცავს საჩივარში აღწერილ გარემოებას, რომლის თანახმად, ელექტროსისტემა ვალდებული იყო ჯარიმების გადახდის საკითხები

წინასწარ შეთანხმებინა პარტნიორთან ან უზრუნველყოფილ კრედიტორთან. აუდიტის ანგარიშის შესაბამისად, აუდიტის ძირითად მიგნებას წარმოადგენს ხელშეკრულებების გაფორმების დროისთვის ცნობილი სამუშაოების შემადგერხებელი გარემოებების და მათგან გამომდინარე რისკების შეუფასებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრეტენზია ჯარიმების გადახდის წინასწარ შეთანხმებასთან დაკავშირებით, აუდიტის ანგარიშში კითხვის ნიშნის ქვეშ არ ყოფილა დაყენებული გადახდილი ჯარიმების სისწორე და შესაბამისობა დადგენილ პროცედურებთან.

რაც შეეხება ელექტროსისტემის მიერ უცხოელ კონტრაქტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების, განსახლების გეგმების მომზადებისა და განხორციელების ნაკლოვანებების საკითხებს, პრეზიდენტი იზიარებს აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ შეფასებას და მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის N139 დადგენილების თანახმად, ელექტროსისტემას საქართველოს მთავრობისთვის განსახილველად უნდა წარედგინა უცხოურ კონტრაქტორებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს აუდიტის ანგარიშის 8.3 ქვეთავის ბათილად ცნობის საფუძვლები.

#### **24. აუდიტის ანგარიშის 9.1 ქვეთავი - „უსაფუძვლოდ გამარჯვებული პრეტენდენტები“.**

- საჩივრის ავტორი პრეტენზიას გამოთქვამს ზეთის სადეგაზაციო დანადგარის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ფასთა გამოკითხვის საკითხზე და აღნიშნავს, რომ პრეტენდენტებმა ტექნიკური და ფინანსური წინადადებები წარმოადგინეს ცალ-ცალკე. მხოლოდ ტექნიკური წინადადების შესაბამისობის შემთხვევაში დაიშვებოდნენ კომპანიები ფინანსური წინადადებების გახსნაზე. 2015 წლის 27 იანვარს მმართველთა საბჭომ განიხილა ორივე პრეტენდენტის წინადადებები, დასაზუსტებელი საკითხები, მათი გამოცდილება, პროდუქციის ხარისხი, ცნობადობა და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ფინანსური წინადადების გახსნაზე დაუშვა მხოლოდ კომპანია Micaf fluid AG. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აუდიტის ანგარიშში მოყვანილი მსჯელობა, რომ მმართველთა საბჭომ მოცემული გარიგების ფარგლებში განიხილა და იმსჯელა მხოლოდ ავანსის გადახდის საკითხზე, საფუძველს მოკლებულია.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფორმით მსჯელობა ავანსის გადახდის საკითხზე, აუდიტის ანგარიშში არ არის მოცემული. აუდიტის ანგარიშში აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიგნება ეხება გამარჯვებული პრეტენდენტის როგორც ტექნიკურ, ისე ფინანსურ წინადადებებში არსებულ შეუსაბამობებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რისი დაზუსტებაც უნდა მოეთხოვა ელექტროსისტემას. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პოზიცია არ პასუხობს აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებულ მიგნებას, კერძოდ, არ არის წარმოდგენილი არგუმენტაცია იმ შეუსაბამობებთან დაკავშირებით, რაც ასახულია ანგარიშში.

- მსოფლიო ბანკის წესებითა და დაფინანსებით განხორციელებულ შესყიდვასთან დაკავშირებით პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ აუდიტის ანგარიშში ასახული მიგნება ეხება „საქენერგორემონტის“ წინადადების შეუსაბამობას შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ელექტროსისტემა საჩივარში თავადვე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ არ ყოფილა წარმოდგენილი მის მიერ მოთხოვნილი ხელშეკრულებები და სხვა ინფორმაცია. პრეზიდენტი მიუთითებს, რომ მოწყობილობების სპეციფიკაციების შესაბამისობა შემსყიდველს უნდა დაედგინა არა სეწმეკის მიერ მიღებულ „ქსელის წესებთან“, არამედ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან მიმართებით, რომელშიც სპეციფიკაციები განსაზღვრულია კონკრეტულად, ყოველგვარი დიაპაზონის გარეშე. შესაბამისად, პრეზიდენტი იზიარებს აუდიტის ანგარიშში მოცემულ შეფასებას, რომ „საქენერგორემონტი“ იმსახურებდა დისკვალიფიკაციას.

- პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმის შესახებ, რომ შპს „Softmaster“-ის მიერ შემოთავაზებულ მოწყობილობებს გააჩნდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ სპეციფიკაციებზე უკეთესი მახასიათებლები, რის გამოც ჩაითვალა მისაღებად და გამოცხადდა გამარჯვებულად. პრეზიდენტი მიუთითებს, რომ საქმეში არსებული მასალების თანახმად, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო კონკრეტული პარამეტრების საქონელი. თუ კონკრეტული მახასიათებლის მითითების საჭიროება არ არსებობდა და განსხვავებული საქონელიც აკმაყოფილებდა შემსყიდველის საჭიროებებს, სატენდერო

დოკუმენტაციაში სპეციფიკაციები უნდა განსაზღვრულიყო ნეიტრალურად. კერძოდ, უნდა მითითებინათ ნომინალური ძაბვის შესაბამისი დიაპაზონი. ნეიტრალურად განსაზღვრული სპეციფიკაციები უზრუნველყოფდა კონკურენციის ზრდას, რაც სახსრების ეკონომიურად ხარჯვის წინაპირობას წარმოადგენს. შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად, სატენდერო კომისიამ უნდა განიხილოს და შეაფასოს, რამდენად შეესაბამება პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს. აღნიშნულის გათვალისწინებით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება. შესაბამისად, ელექტროსისტემის მიერ მოყვანილი ნებისმიერი მსჯელობა მიმწოდებელთან წარსულ გამოცდილებასთან ან/და კონკრეტული მწარმოებლის საქონლის ცნობადობასთან დაკავშირებით, არ წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს გადაწყვეტილების მისაღებად.

- პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას სასერვერო ინფრასტრუქტურის შესყიდვის ტენდერთან დაკავშირებით, რომ შესყიდვის დროს ხელშეკრულების თაობაზე ინფორმაცია მოძიებულ იქნა ტენდერის ტექნიკური კონსულტანტის მიერ და დადგინდა ელექტროსისტემის მიერ მოთხოვნილ პირობასთან შესაბამისობა, ასევე გათვალისწინებულ იქნა სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განმხილველი საბჭოს გადაწყვეტილება. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ შეფასებას და მიაჩნია, რომ აღნიშნული პრეტენდენტის შერჩევა-შეფასება უნდა განხორციელებულიყო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად.

- სხვადასხვა სახის ელექტრომომწყობილობების შესყიდვის საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას, პრეტენდენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილთან შედარებით „გაუმჯობესებული მონაცემების“ საქონლის შემოთავაზებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ელექტროსისტემის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო კონკრეტული მახასიათებლების საქონელი, ხოლო თუ ფიქსირებული მახასიათებლების საჭიროება არ არსებობდა და განსხვავებული საქონელიც აკმაყოფილებდა შემსყიდველის საჭიროებებს, სატენდერო სატენდერო დოკუმენტაციაში სპეციფიკაციები უნდა განსაზღვრულიყო ნეიტრალურად. კერძოდ, უნდა მითითებოდა სპეციფიკაციების დიაპაზონი, რასაც ამ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია. ნეიტრალურად განსაზღვრული სპეციფიკაციები კონკურენციის გაზრდის და სახსრების ეკონომიურად ხარჯვის წინაპირობაა.

- პრეზიდენტი ვებგვერდის დამზადების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით, სატენდერო კომისიამ უნდა განიხილოს და შეაფასოს თუ რამდენად შეესაბამება პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია შესაბამისი ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს და სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო დაზუსტების შემთხვევაში სატენდერო კომისია უფლებამოსილია იხელმძღვანელოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნების ფარგლებში. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მსჯელობა, რომ სატენდერო კომისიას შეეძლო მოთხოვნილი ინფორმაციის გადამოწმება ინტერნეტ რესურსების საშუალებით არ არის შესაბამისობაში შესყიდვების კანონმდებლობასთან. პრეზიდენტი ასევე ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას ექსპერტის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ვინაიდან ელექტროსისტემის მიერ მოთხოვნილი იყო კონკრეტული პირობა, რომელთან შესაბამისობა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დასტურდებოდა.

- განახლებადი ენერჯის წყაროების ქსელში ინტეგრაციის კვლევითი მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ თუ კომპანია ბაზარზე ცნობილი ბრენდია ან არსებობს მასთან შემსყიდველის თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება - კვალიფიკაციის ფორმალური დადასტურება არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც შესყიდვების განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღების არსებითი პირობა. პრეზიდენტი ეთანხმება აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ შემსყიდველს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ჰქონდა კონკრეტული გამოცდილება განახლებადი ენერჯის წყაროების დაგეგმვის, დიზაინის, პროექტირების და შეფასების სფეროში, რაც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაციით ვერ დასტურდებოდა. შესაბამისად, შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად, დაზუსტებული

ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შემთხვევაში პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს აუდიტის ანგარიშის 9.1 ქვეთავის ბათილად ცნობის საფუძვლები.

## **25. აუდიტის ანგარიშის 9.2 ქვეთავი - „ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა“.**

პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას 2011-2013 წლების აუდიტის პროცესში თურქ კონსულტანტებთან 2009 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესწავლის საკითხზე და აღნიშნავს, რომ 30.12.2015 N75/00 აუდიტის ანგარიშში განხილულია 2011 წლის 22 დეკემბერს კონსულტანტებთან გაფორმებული ხელშეკრულება. ელექტროსისტემის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა საჩივარში მითითებული გარემოების რეალობა.

რაც შეეხება 2014 წელს ხელშეკრულებაში შესულ ცვლილებასთან დაკავშირებით აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ შეფასებასთან დაკავშირებით საჩივრის ავტორის პრეტენზიას პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი ხელშეკრულებებით უდავოდ დასტურდება, რომ 2014 წლის ხელშეკრულების საგანი (მესამე დავალების ნაწილში) ნაცვლად კონკრეტული პირობისა, შეიცვალა ზოგადი ხასიათის პირობებით და შესაბამისად, აღარ ირკვევა კონსულტანტების კონკრეტული პასუხისმგებლობები.

რაც შეეხება 2015 წელს თურქ კონსულტანტ ჰაკან შიმშეკთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ 2015 წლის ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო თანაბარი სირთულის დავალება, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს და ეთანხმება აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული კონკრეტული დავალებების ღირებულებები, რაც ხელშეკრულების არსებით ხარვეზს წარმოადგენდა. შესაბამისად, ანაზღაურებული თანხის გაანგარიშების სისწორე არ არის დასაბუთებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს აუდიტის ანგარიშის 9.2 ქვეთავის ბათილად ცნობის საფუძვლები.

## **26. აუდიტის ანგარიშის 9.3 ქვეთავი - „არასათანადოდ განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნები“.**

ავარიის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობილობების შესყიდვასთან დაკავშირებით პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ შესასყიდი საქონელი და მომსახურება არ იყო სრულყოფილად აღწერილი და არ იძლეოდა შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის მოთხოვნილთან შედარების შესაძლებლობას. აღნიშნულს ადასტურებს შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში პოტენციური პრეტენდენტის მიერ დასმული შეკითხვები, რომლითაც მოთხოვნილია განმარტება შესასყიდი საქონლის აღწერილობასთან დაკავშირებით. შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში ისეთი მახასიათებლების და ტერმინოლოგიის გამოყენება, რომლებიც ორაზროვანია და უშვებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას. თავის მხრივ, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სატენდერო დოკუმენტაცია ზრდის კონკურენციას და შესაბამისად, უზრუნველყოფს სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

ამდენად, არ არსებობს აუდიტის ანგარიშის 9.3 ქვეთავის ბათილად ცნობის საფუძვლები.

## **27. აუდიტის ანგარიშის 9.4 ქვეთავი - „უზრუნველყოფის გარანტიის გარეშე გაფორმებული ხელშეკრულებები“.**

უზრუნველყოფის გარანტიის გარეშე გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების შესახებ პრეზიდენტი მიუთითებს, რომ აუდიტის ანგარიშში მოყვანილი შემთხვევები ცხადყოფს, რიგ შემთხვევებში ელექტროსისტემის მიერ არ ხდებოდა ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნა, რაც შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, თუ ხელშეკრულების ღირებულება აღემატება 200 000 ლარს, ზიანის დადგომის მიუხედავად, უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნა სავალდებულოა. თუმცა, ყოველი კონკრეტული შესყიდვის დროს სატენდერო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნის თაობაზე.

ამდენად, არ არსებობს აუდიტის ანგარიშის 9.4 ქვეთავის ბათილად ცნობის საფუძვლები.



**28.** ელექტროსისტემის საჩივრის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება აუდიტის პროცედურების განხილვას და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას. საჩივრის ავტორი გარკვეულ მსჯელობებს ავითარებს ISSAI 4100-ზე დაყრდნობით, რომელიც არ არის მოქმედი, ვინაიდან 2016 წელს ISSAI 4100 INCOSAI-ის კონგრესმა გააუქმა, ხოლო სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აუდიტორული პროცედურები 2018 წელს დაიწყო.

ელექტროსისტემა მიუთითებს, რომ ხშირ შემთხვევაში არ არსებობს არგუმენტაცია, თუ რომელ კრიტერიუმთან არის შეუსაბამო აუდიტის ობიექტის საქმიანობის კონკრეტული ეპიზოდი, მაშინ როდესაც აუდიტის ანგარიშის თითოეული ქვეთავი იწყება კონკრეტული კრიტერიუმის აღწერით. ამდენად, პრეზიდენტს უსაფუძვლოდ მიაჩნია ელექტროსისტემის აღნიშნული მოსაზრება.

ამასთანავე, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები არ არის დაცული და მაგალითად მოჰყავს ის გარემოება, რომ „აუდიტის ანგარიშში ვერ ნახავთ ვერცერთ მითითებას ან ეპიზოდს, რომლებიც ნახსენები იყოს ელექტროსისტემის პოზიცია განხილვის საგანთან დაკავშირებით“ და აქვე მიუთითებს ISSAI 4000-ის ერთ-ერთ ქვეთავზე, რომლის შესაბამისადაც შესაბამისობის აუდიტის ანგარიში უნდა მოიცავდეს შემოწმების ობიექტის პასუხებსაც (i. Responses from the audited entity (as appropriate)).

პრეზიდენტს აღნიშნავს, რომ სტანდარტის მითითებული მოთხოვნა არ არის იმპერატიული ხასიათის და აუდიტის ანგარიშებში გამოიყენება საჭიროების და მიზანშეწონილობის შემთხვევაში, რაზეც მიუთითებს სტანდარტის ჩანაწერიც (as appropriate).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდენტს მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორის არგუმენტაცია აუდიტის ანგარიშის ბათილად ცნობის ზოგადი საფუძვლების შესახებ დაუსაბუთებელია.

### III

#### სარეზოლუციო ნაწილი:

იხელმძღვანელა რა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტით და 29-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის N14/37 ბრძანებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით,

#### სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდენტმა გადაწყვიტა:

უარი ეთქვას სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 2019 წლის 3 სექტემბერის N3967/09 საჩივრის (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N7429/29) დაკმაყოფილებაზე და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 12 აგვისტოს დამტკიცებული სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2014-2017 წლების შესაბამისობის აუდიტის N42/36 ანგარიში დარჩეს უცვლელად.

ერეკლე მექვაბიშვილი  
გენერალური აუდიტორი



**ნოდარ ჯავახიშვილი**  
გენერალური აუდიტორის მოადგილე

**ეკატერინე ლაზაძე**  
გენერალური აუდიტორის მოადგილე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური / თავდაცვის,  
საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს  
აუდიტის დეპარტამენტი  
დეპარტამენტის უფროსი  
სოფიო დვალიშვილი

**ზაზა შეყილაძე**  
სოციალური სფეროს აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსი

**ნოე ქაშიბაძე**  
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის  
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური / ეფექტიანობის  
აუდიტის დეპარტამენტი  
დეპარტამენტის უფროსი  
გიორგი კაპანაძე


ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების  
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი  
გიორგი მამრიკიშვილი

**კახაბერ კირტავა**  
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში  
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

**გიორგი გაჩეჩილაძე**  
ინფორმაციული ტექნოლოგიების  
ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი




**ცოტნე ქარქაშაძე**  
სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული  
ანალიზის დეპარტამენტის უფროსი



**ალექსანდრე გოგოლაშვილი**  
აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის  
დეპარტამენტის უფროსი



**ნატო ზაალიშვილი**  
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



**სახელმწიფო აუდიტის სამსახური / შიდა აუდიტის  
დეპარტამენტი**  
დეპარტამენტის უფროსი  
ზაზა გელაშვილი



**ვაჟა ბრაგვაძე**  
ადმინისტრაციის უფროსი

